იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 18 (178)

სექტემბერი.

1967 წელი



ქართული ეკრანის მშვენება ნატო ვაჩნაძე.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

დედა-სამშობლოს ამბები

ახალი პროექტები

ცნობილმა თბილისელმა არქიტექტორმა, სპორტის სასახლის, ბარათაშვილის სახელობის ორიარუსიანი ხიდის ერთ-ერთმა ავტორმა შოთა ყავლაშვილმა დაამთავრა მუშაობა ახალ საცხოვრებელ კომპლექსზე, რომელიც სანაპიროზე აშენდება. აქ აღიმართება ოთხი 16-სართულიანი სახლი. თბილისის კინოსტუდიის, ამიერკავკასიის რკინიგზისა და ქალაქის სხვა ორგანიზაციების მუშაკთა 248 ოჯახი ღირსეულად შეიფასებს არქიტექტორის შემოქმედებითს ჩანაფიქრს.

სახლებში, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 14 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, იქნება 2, 3, 4, 5-ოთახიანი ბინები. მათი დაგეგმვის თავისებურება (ოთახებში ჰაერი იწმინდება გამჭოლი ქარით, ისინი ერთმანეთს არ ესაზღვრებიან, აქვთ ფართო ჰოლი), სანიტარული კვანძების სწორად განლაგება, საცხოვრებელი ოთახებისაგან იზოლირებული სამზარეულო, აივანი და ლოჯი, მეტად მოსახერხებელია დასვენებისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ყოველი სამი სართულის შემდეგ არქიტექტორმა გაითვალისწინა საერთო დასასვენებელი ბაქნები, რომლებიც სანაპიროს გადაჰყურებენ, საცხოვრებელ კომპლექსში შედის აგრეთვე სპორტული მოედნები (მაგალითად, 25X10 მეტრი საცურაო აუზი). სახლი მოპირკეთდება ახალი მასალით, რომელიც ფართოდაა გავრცელებული მოსკოვის მშენებლობებზე.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში შ. ყავლაშვილმა თქვა, რომ რესპუბლიკის სუსტი სამშენებლო ბაზის გამო ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ასეთი სახლების მასობრივი მშენებლობა. მაგრამ მას მჯერა, რომ უახლოეს წლებში ძირითადად კომფორტული საცხოვრებელი სახლები აშენდება თბილისში.

მილების ხარისხი ჩინებულია

რუსთავი. ოპერატორმა ღილაკს დააჭირა თითი და აგრეგატი აამოქმედა. ჩასატვირთი მანქანის მარწუხებმა მილსამზადი გახურებულ ღუმელში შეიტანეს. ღუმელში ნამზადმა თანდათანობით გაიარა გახურების სხვადასხვა სტადია და გამოტვირთვის სარკმელთან შეჩერდა.

ღუმელიდან გადმოსატვირთი მანქანა ნამზადს გადასცემს როლგანგს, რომელიც მას გამჭოლ დგანს აწვდის სგლინავად.

...ჩვენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში ვართ. აქ გლინავენ უნაკერო მთლიანგლინ სატუმბ-საკომპრესორო, ნავთობსადენ და სხვა მილებს.

მილსაგლინავი საამქროს მთელმა კოლექტივმა, მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა გააჩაღეს შეჯიბრება მხოლოდ ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ეს შეჯიბრება დაიწყო ნოვატორების პ. ბენდიანიშვილის, რ. კიკნაძისა და სხვათა ინიციატივით, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს გაეშალათ მოძრაობა ყოველ სამუშაო ადგილზე ტექნოლოგიის ზუსტად დაცვისათვის. ყველა მუშამ გაიარა სპეციალური მომზადება, შეისწავლა მოწინავე ტექნოლოგია, ბევრი კი დაეუფლა მონათესავე პროფესიებს. კვალიფიკაციის დონის ამაღლების შედეგად უზრუნველყოფილია მოწყობილობის უნაკლო ექსპლოატაცია, თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა წუნი.

ბევრი რამ გაკეთდა ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. მაგალითად, მაზუთის ნაცვლად გაზის გამოყენებამ ნამზადების გახურების დროს მნიშვნელოვნად შეამცირა წუნი, გააუმჯობესა მილების ხარისხი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილების ხარისხი ყოველდღიურად უმჯობესდება. ამას მოწმობენ წერილებიც, რომლებიც მოდის ბაქოსა და გროზნოს ნავთობსარეწებიდან, როსტოვისა და ლიპეცკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებიდან, ლენინგრადისა და ნიკოლაევის გემთსაშენებიდან.

საამქროს კოლექტივი კარგად ასრულებს სახელმწიფო პროგრამას.

შენდება და მშვენდება წალენჯიხა

დღითი დღე შენდება და მშვენდება ქალაქი წალენჯიხა. ამ ბოლო ხანს რას შეემატა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, სატყეო მეურნეობის კანტორის, მუსიკალური სასწავლებლის, საბავშვო ბაღის შენობები, მუშათა საცხოვრებელი სახლი და სხვა.

წელს აშენდა რესტორან-პავილიონი, აბანო, ორი სასურსათო მაღაზია. ამჟამად აგებენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ შენობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, მესამე საბავშვო ბაღს, მაღაზიას და სხვა ნაგებობებს.

განაახლებული ახალქალაქი

ახალქალაქი. სახეს იცვლის ჯავახეთის გული — ახალქალაქი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა რაიონის თანამედროვე, კეთილმოწყობილ კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრად.

მისი კეთილმოწყობა დღესაც გრძელდება. მიმდინარეობს ცენტრალური ქუჩის რეკონსტრუქცია. აქ დაიწყო დიდი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომელსაც უკვე გაისად გადასცემენ საექსპლოატაციოდ. მიმდინარეობს აგრეთვე 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, მშენებელ მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობ

მეგობრობა გზად და ხიდად

- უნგრეთის დეკადა საქართველოში
- ეს იყო საპასუხო ვიზიტი
- შარშან უნგრეთი მასპინძლობდა ქართველებს
- გულთბილი შეხვედრები ჩვენს მამულში
- ჩაუტეხელი ხიდი

სექტემბერში საქართველოში ჩატარდა უნგრეთის კულტურის დღეები, რომელიც უნგრელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა.

ქართველებს საუკუნეთა მეგობრობა აკავშირებს უნგრელ ხალხთან, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ამ ურთიერთობამ, შეიძლება ითქვას, თავის მწვერვალს მიაღწია. ყოველდღიურად მტკიცდება და ფართოვდება იგი.

შარშან, აგვისტოში, ქართველები იყვნენ სტუმრად უნგრეთის მიწა-წყალზე. ქართული კულტურის შარშანდელი დღეები შევიდა ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენა. და აი, ამჯერად საქართველოს ესტუმრნენ უნგრელები.

საზეიმო ელფერი დაჰკრავდა თბილისს, ქუთაისს და სხვა ქალაქებს, სადაც უნგრელები სტუმრობდნენ. „საქართველო მოგესალმებათ, ძვირფასო უნგრელო სტუმრებო“, „ჩვენი მეგობრობა მარადიული და ურღვევია“, ასეთი სათაურებით მიუძღვნეს მასალები უნგრეთის კულტურის დღეებს რესპუბლიკურმა გაზეთებმა.

დეკადის დღეები საზეიმოდ გაიხსნა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შენობაში. მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. იგი შეეხო საქართველო-უნგრეთის მეგობრობის ისტორიას და თქვა, რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს გამოჩენილმა უნგრელმა პოეტმა ბელა ვიკარმა უნგრულ ენაზე თარგმნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო პოემის ერთ-ერთი პირველი თარგმანი ევროპულ ენებზე და დღემდე საუკეთესოა. დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტურაში უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ, რომელმაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შესანიშნავად დაასურათა. ქართველ ხალხს მუდამ ემახსოვრება, რომ პირველი ქართველი შრიფტი უნგრელმა ოსტატმა მიკლოშ კიშმა ჩამოასხა, მეორე უნგრელი კი ანთიმოზ იბერიელის მოწაფე მიხაი იშტვანოვიჩი ჩამოვიდა საქართველოში, რომ სტამბის მოწყობაში დაგვხმარებოდა...

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფერენც ხავაშიმ, რომელმაც დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი მიღებისათვის.

ეს იყო უნგრეთის კულტურის დღეების უფერტიულა. დედაქალაქის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში, სამხატვრო სალონებში თავიანთი ხელოვნება აჩვენეს უნგრელებმა... დაიბეჭდა მხატვრულად გაფორმებული პლაკატები, პროგრამები, გამომცემლობებმა გამოსცეს უნგრელ მწერალთა ნაწარმოებების ქართული თარგმანები. თავიანთი გადაცემები უნგრეთს მიუძღვნეს საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ, გაზეთებმა დაბეჭდეს სპეციალურად მიძღვნილი გვერდები და სხვ.

ორი კვირის განმავლობაში არ შეწყვეტილა ქართულ მიწა-წყალზე მეგობრული შეხვედრები. თბილისის გარდა უნგრული დეკადა გაიმართა ბათუმში, რუსთავში, ქუთაისში, მახარაძეში. სტუმრები გაეცვნენ კახეთის რაიონებს — სიღნაღს, ყვარელს, თელავს. მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ ქართველები — მეგობრობა ჩვენი გზა და ხიდია, ამბობდნენ ისინი და სტუმრების საპასუხო სიტყვაც ქართულად ჟღერდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ხიდს თურმე უნგრულადაც „ხიდი“ ჰქვია.

უნგრული დეკადის დღეებმა ჭეშმარიტად ჩაუტეხელი ხიდი გადო უნგრელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის.

რ. ჭელიძე.



სურათზე: უნგრელი მწერალი ლაიოშ ტარდი (მარჯვნივ) და მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

ბარაქიან მიწაზე

აქ, თბილისის ზღვის სამხრეთ ნაპირზე ყველაფერი ახალია. ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შვიდწლედის პირველ წელს შეიქმნა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყლით მორწყულმა სამგორის მიწამ მიიღო პირველი თესლი, სიცოცხლე შთაბერა ვაზისა და ხეხილის ნერგებს.

ვარკეთილში ჯერჯერობით მხოლოდ 2.500 კაცი ცხოვრობს. მაგრამ უკვე ორი წლის შემდეგ გენერალური გეგმის თანახმად აქ 5.000 კაცი იცხოვრებს. მალე საბჭოთა მეურნეობის დაბაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 120 ბინა.

დიდი ყურადღება ეთმობა დაბის კეთილმოწყობას. ვარკეთილელებს კარგ სამსახურს უწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. დიდ ორსართულიან შენობაში მოთავსებულია სოფლის მაღაზია, ფოსტა და ავტომატური სატელეფონო სადგური, საპარიკმახერო, პატარა სასტუმრო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ატელიე, ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო, ფოტოატელიე. ამ შენობის გვერდით აშენებენ კლუბს, რომელსაც ექნება 320-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ოთახები სხვადასხვა წრეების მუშაობისათვის.

ყურძნის წლევანდელ მოსავალს იღებს მაცივარი, რომლის 500 ტონა სიმძლავრის პირველი რიგი ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ. აქ ყურძენი მთელი წლის განმავლობაში შეინახება. მაცივართან მოწყობილია კონსერვების, კომპოტის, წვენებისა და საწრო ი საამქროები. აქვე შენდება ღვინის ქარხანა, რომელიც სეზონში 8 ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებს. ვარკეთილში სწრაფი ტემპით ვითარდება ცხოვრება. 1961 წელს დაბაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა. სამი წლის შემდეგ სკოლა გადავიდა ახალ შენობაში, სადაც ბავშვები მერვე კლასამდე სწავლობდნენ. მიმდინარე წლის 1 სექტემბერს კი 320 მოსწავლეს გაუღო კარი ორსართულიანმა საშუალო სკოლამ.

სკოლა, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობის ყველა სხვა ნაგებობა, მეურნეობის სახსრებით აშენდა. მაღალი რენტაბელობა საბჭოთა მეურნეობას საშუალებას აძლევს დიდძალი თანხა დაბანდოს მშენებლობაში. მაგალითად, შარშანდელი მოგების ნახევარზე მეტი — 178 ათასი მანეთი ახალმშენებლობებს მოხმარდა.

ამ დღეებში ვარკეთილელი მუშა-მოსამსახურეების ბავშვების ერიამულით აივსება საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობები. არქიტექტორ თ. ფანიაშვილის პროექტით ერთმანეთს მოშორებული საბავშვო ბაღის ორი კორპუსი და ბაგის ორი კორპუსი გადასასვლელებით შეუერთდებიან ადმინისტრაციულ-სამეურნეო შენობას.

საბჭოთა მეურნეობაში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტს. აშენებულია ახალი სასპორტო მოედნები ფრენბურთელებისათვის, კალათბურთელებისა და ჩოგბურთელებისათვის. აქ უყვართ ჭიდაობა, კრივი, სხვა სახეობის სპორტი. წელს დაიწყება 2-ათასადგილიანი სტადიონის, სასპორტო დარბაზისა და ღია საცურაო აუზის მშენებლობა.

ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიოს თავისი მიწის პატრონმა ხალხმა.

ე. გოგოლაძე.

შავი გლვისპირეთის მგზეთუნახავი

შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოსხლ ზოგიერთ ტურისტსა და დამსვენებელს მაღალი ხეები დიდრონი მუქმწვანე პრიალა ფოთლებით ოთახის ფიკუსი ჰგონია. მაგრამ ფიკუსები ღია ცის ქვეშ ცოცხლობენ მხოლოდ ტროპიკებში. ამ ხეებს კი მაგნოლია ეწოდება. ცნობილმა შვედმა მეცნიერმა კარლ ლინეიმ ასე უწოდა მათ თავისი მეგობრის პიერ მაგნოლის პატივსაცემად, რომელიც მედიცინის დოქტორი და საფრანგეთის ბოტანიკური ბაღის დირექტორი იყო.

მაგნოლიას ძალიან ლამაზი ყვავილები აქვს, არომატი — ძლიერი და სასიამოვნო. მაგრამ უფრთხილდით დარჩეთ მასთან ერთად დახურულ შენობაში. ადამიანი, რომელიც დიდხანს ყნოსავს მაგნოლიის არომატს, გრძნობს თავის ტკივილს, გემოვნება მკვეთრად იცვლება: სასიამოვნო საჭმელი უგემურად ეჩვენება. ამას წინათ სოხუმის აეროპორტში თვითმფრინავთან მივიდა ქალიშვილი, რომელსაც მაგნოლიის ყვავილები ეჭირა. მაგრამ მგზავრი სურნელოვანი „ბაგაჟით“ არ შეუშვეს თვითმფრინავში.

საბჭოთა კავშირში მაგნოლია ძირითადად ხარობს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ბაღებში, ყირიმის სამხრეთ ნაპირზე. ზოგიერთი სახეობა გვხვდება თბილისშიც.

მაგნოლიას ძველი დროიდანვე აფასებენ არა მარტო როგორც დეკორაციულ, არამედ როგორც სამკურნალო მცენარესაც.

ნაყოფისა და თესლის ნაყენს იყენებენ ხალხურ მედიცინაში. იგი მიაჩნიათ ძლიერ საშუალებად რევმატიზმისა და გულის დაავადების სამკურნალოდ, ხოლო ნაყოფისა და თესლის ზეთს იყენებენ თმის გასამაგრებლად.

განსაკუთრებით დიდი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს მაგნოლია მიხედიას. პრეპარატი მისი ფოთლებისაგან იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას და სისხლის წნევის ხანგრძლივ დაწევას.

ვ. წულეისკირი,
აგრონომი.

50

ნაღვაწსაუკუნოვანი გზა

50 წელი გავიდა იმ დღიდან, რაც კინოს ერთ-ერთმა პირველმა ენთუზიასტმა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ კერძო სახსრებით გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ (ე. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით). ეს თარიღი საქართველოში კინოხელოვნების დაბადების დროდ მიგვაჩნია.

ოციანი წლების დასაწყისში დაიწყო აქტიური ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს კინოხელოვნების განვითარებისათვის. ამ საქმეში ქართული თეატრის მუშაკებიც ჩაებნენ. შეიქმნა კინოსტუდია „საქართველოს სახკინმრეწვი“. იგი ძალიან ჩქარა გაიცნო როგორც მთელმა საბჭოთა კავშირმა, ისე უცხოეთმაც.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამ სტუდიაში 1923 წელს შექმნილი ი. პერესტიანის ფილმი „წითელი ეშმაკუნები“, რომელმაც ახალ ჟანრობრივ ფორმას მისცა სათავე საბჭოთა კინოხელოვნებაში.

1928 წელს შედგა ნიჭიერი ქართველი რეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას დებიუტი. მისმა პირველმა დამოუკიდებელმა ფილმმა „ელისომ“ მსოფლიოს ეკრანები შემოიარა. ამ ნაშრომმა დაგვანახვა კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაციისადმი ჭეშმარიტად შემოქმედებითი მიდგომა.

დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კინოხელოვნებას კოტე მარჯანიშვილმაც. ქართველ კინომსახიობთა სკოლის შექმნა მისი დამსახურებაა.

სატირიკოსისა და პამფლეტისტის მკვეთრი, თავისებური ხელწერა გამოავლინა თავის პირველ ფილმებში მიხელ ჭიაურელმა („ხაბა“, „ხაბარდა“, „უკანასკნელი მასკარადი“). კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთმა საუკეთესო რეჟისორმა მ. ჭიაურელმა წლების განმავლობაში შეინარჩუნა გაბედული ძიების ინტერესი.

კინოკომედია ჩვენი კინოს ერთ-ერთი უსაყვარლესი ჟანრია. ნათელი, ნიჭიერად შესრულებული კომედიები, შექმნილი ხალხის ცხოვრების მასალებზე, გამოჩნდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში. ესენი იყო: „უუჯუნას მზითევი“ (რეჟისორი ს. ფალავანდიშვილი), „ნახვამდის“ (გ. მაკაროვი), „დაკარგული სამოთხე“ (დ. რონდელი). ეს ფილმები ქართული კომედიების მწვერვალებად ითვლება. სწორედ ამ ჟანრში გამოიჩინეს თავი გამოჩენილმა სახასიათო მსახიობებმა ა. ყორყოლაიანმა, ა. კვანტალიანმა, ც. წუწუნავამ, შ. ღამბაშიძემ და სხვებმა. უფრო გვიან მაყურებლებმა შეიყვარეს ს. დოლიძის „ჭრიჭინა“, რომელმაც მსახიობ ლეილა აბაშიძის ნიჭი გამოავლინა.

30-იან წლებში „საქართველოს სახკინმრეწვში“ დაიწყო თავისი მოღვაწეობა მიხეილ კალატოზოვმა. მისი პირველი დამოუკიდებელი ფილმი — „სვანეთის მარილი“ — შეიქმნა საქართველოს ეგზოტიკური მთიანი კუთხის მასალებზე, რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა თემური წესწყობილება.

ჩვენი პატარა, მაგრამ მკვეთრი კინემატოგრაფიის ისტორია მდიდარია სასიხარულო მოვლენებით, რაც უველაზე მეტად ომისშემდგომ წლებში გამოვლინდა.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის საერთაშორისო აღიარება და პრემიები, რომლებითაც ჩვენი ფილმები აღინიშნა ბოლო წლებში — მ. კობახიძის პატარა ფილმების ბრწყინვალე გამარჯვება („ქორწილის“ ტრიუმფი ობერჰაუზენში, „ქოლგის“ ორი მთავარი პრემია კრაკოვში), „ჯარისკაცის მამის“ შესანიშნავი წარმატება და მისი ტრიუმფული მსვლელობა მსოფლიოს ეკრანებზე.

უმთავრესი მაინც ის არის, რომ სტუდიის უველა პავილიონში გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. თემებისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის სიუხვე ახასიათებს დღევანდელ ქართულ კინემატოგრაფიას.

ერთ-ერთი უხუცესი ქართველი კინორეჟისორი სიკო დოლიძე, რომელმაც დიდი ხანი არ არის დაამთავრა მუშაობა ფილმზე — „შეხვედრა წარსულთან“, ამთავრებს ახალ სურათს — „ქალაქი ადრე იღვიძებს“. ეს ფილმი ეძღვნება ქართველ ელმავალმშენებლებს. სცენარი, რომელიც რეჟისორმა დრამატურგ რეზო ჭხარტიშვილთან ერთად დაწერა, შედარებით ახალ, ომისშემდგომ პერიოდს ასახავს. მაგრამ მისი გმირები შთამომავლობით მუშები არიან და თავიანთ რევოლუციურ ტრადიციებს ესტაფეტად იღებენ თავიანთი მამებისაგან. მათი მორალური სახე, ქარხნის ცხოვრებით დაინტერესება ფილმს მოქალაქეობრივ ჟღერადობას ანიჭებს. მთავარ როლს ასრულებს სერგო ზაქარიაძე.

ქართული კინემატოგრაფიის წამომწყებთა შორის უნდა დავასახელოთ დავით რონდელიც. კინოში თავისი მოღვაწეობის მეოთხე ათეულ წელს რეჟისორი იწყებს ახალგაზრდობის თემით. ეს არის ფილმი, მიძღვნილი მუშახალგაზრდობისადმი. სცენარი ეკუთვნის ახალგაზრდა პროზაიკოსს რეზო ჭეიშვილს. მოქმედება ხდება ქუთაისის ავტოქარხანაში.

ახალგაზრდობის თემა ძირითად თემად იქცა ქართულ კინოხელოვნებაში. შემოქმედებითი ახალგაზრდობის პრობლემებს მიუძღვნა თავისი ფილმი ახალგაზრდა რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ, რომელმაც ნანა ხატისკაცთან ერთად სცენარიც დაწერა.


დიდი სამამულო ომის ამბები კვლავაც აღელვებთ ქართველ კინემატოგრაფისტებს. რეჟისორმა შოთა მანაგაძემ და დრამატურგმა რევაზ თაბუკაშვილმა გადაწყვიტეს ჩვენი ხალხის ფაშიზმთან ბრძოლის კიდევ ერთი გმირული ფურცელი აღადგინონ.

სტუდია „ქართულმა ფილმმა“ წარმოებისათვის მიიღო სცენარი „ჯვარცმული კუნძული“, რომელშიც მოთხრობილია ქართველი სამხედრო ტყვეების აჯანყება ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. მწერალი და რეჟისორი ეწვივნენ ტექსელს, შეხვდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ჰოლანდიელ მონაწილეებს, ყოფილ იატაკქვეშელებს. ავტორების მიზანი არ არის ისტორიულ-დოკუმენტური ეპოპეის შექმნა ქრონოლოგიური სიზუსტით ქართული ბატალიონის შესახებ. რ. თაბუკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადრე მომწიფებული საბჭოთა და ჰოლანდიელი ჭაბუკების ხასიათების გამოკვლევას.

მალე დამთავრდება ახალგაზრდა რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის ფილმი ქართულ სოფელსა და მის ხალხზე (სცენარის ავტორი — მ. ელიოზიშვილი).

ჩვენი სტუდიის ბოლო წლები იმითაც არის აღსანიშნავი, რომ საბოლოოდ გამოვლინდა ახალგაზრდა ხელოვანთა ხელწერაც, რომლებმაც სტუდიაში მუშაობა 60-იან წლებში დაიწყეს. ამჟამად „ქართულ ფილმში“ კინემატოგრაფისტთა სამი თაობა მოღვაწეობს.

ეს პროფესია შთამომავლობითად იქცა. ადრე გარდაცვლილი ნიკოლოზ შენგელაია მისმა ვაჟებმა ელდარმა და გიორგიმ შეცვალეს. მიხეილ ჭიაურელის ქალიშვილმა სოფიომ რამდენიმე საინტერესო სახე შექმნა მ. ჭიაურელის, შ. მანაგაძის, რ. ჩხეიძის ფილმებში. ოპერატორი გიორგი კალატოზიშვილი, რეჟისორები ლ. ღოღობერიძე, ნ. მანაგაძე... უველა ესენი ეროვნული კინოს წამომწყებთა შვილები არიან. ბუნებრივია, რომ მათი ხელწერა, თემა, მიდრეკილება ერთნაირი არ არის. თამაზ მელიავამ შექმნა დამოუკიდებელი ფილმი „ლონდრე“. აქაც სცენარის ავტორად რეჟისორი გვევლინება მწერალ ოთარ ჭილაძესთან ერთად. სურათი შექმნილია ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებზე, რამაც ნათლად დაგვანახვა გროტესკის რთულ ჟანრში ახალგაზრდა ხელოვანის მუშაობის უნარი. გამოვლინდა მიხეილ კობახიძის იშვიათი ნიჭი. ოთარ იოსელიანი ფილმ „გიორგობისთვეში“ მოგვევლინა როგორც პუბლიცისტი.



ქართველ კინემატოგრაფისტთა უმრავლესობას ახასიათებს ჭეშმარიტი სიცოცხლის, დოკუმენტალიზმის, საწყისების სიახლოვის გრძნობა. ერთ-ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, ვიდრე ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ გადაღებას შეუდგებოდა, ორი დოკუმენტური კინონარკვევი შექმნა მთათუშეთსა და ხევსურეთზე. ეს ფილმები მას დაეხმარა ფილმი უდეკორაციოდ, ბუნებაში გადაეღო.

„ქართული ფილმის“ მოღვაწეთა სამივე თაობა დროის შესაფერ მასალას ეძებს ცხოვრებაში, ლიტერატურაში, ისტორიაში, უველგან, სადაც კი შეიძლება შეხვდე მართალ, რთულ, მოუსვენარ, ჩვენი თანამედროვისათვის საინტერესო გმირს.

კ. წერეთელი.







სურათებზე: ზემოთ — კადრი პირველი ქართული დოკუმენტური ფილმიდან „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (1912 წ.); ქვემოთ — კადრები ქართული ფილმებიდან — „არსენა“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „სამი სიცოცხლე“.

მეგობართა მილოცვები

საქართველოს კინოხელოვნების 50 წლისთავთან დაკავშირებით გულითადად ვულოცავ ქართველ კოლეგებს ამ ზეიმს და ვუსურვებ მომავალშიც დიდ წარმატებებს.

ემილიო ფერნანდესი.

მეხიკო, მექსიკა.
24. IX. 67.

ჩემი გულითადი მუსიკალური სალამი დიდ საქართველოს, მხარეს, რომელიც მუდამ იყო და არის ხელოვანთა შთაგონების წყარო.

დიმიტრი ტიომკინი.

ფილადელფია, აშშ.
28. IX. 67.

ვულოცავ ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავს, ქართველ ხალხს, ქართველ კინომოღვაწეებს, ყველას, ვინც ასე გულთბილად მიგვიღეს „დოქტორი ზორგე“, ჩემი მეუღლე და მე. ნახვამდის.

თქვენი ერთგული მეგობარი

ივ ჩამპი.

პარიზი, საფრანგეთი.
20. IX. 67.

ღრმა და უდიდესი პატივისცემით ქართველი ხალხისადმი.

დუშან ვუკოტიჩი.

ზაგრები, იუგოსლავია.
26. IX. 67.











საიუბილეო სალამოზე

ათი ათასი მაყურებელი თბილისის სპორტის სასახლეში ტაშს უკრავდა იუბილარებს — ქართული კინოს მოღვაწეებს, რომელიც თავის 50 წლისთავს ღნიშნავს.

ქართული კინოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სალარიძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებისადმი, რომელსაც დამწყრენი მეუხარე ტაშით შეხვდნენ.

ეროვნული კინოს სახელოვან გზაზე ილაპარაკა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ.

სიტყვა ეძღვნა გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორს, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ს. გერასიმოვს.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის მთავარი რედაქტორი მ. სურკოვი. სრულიად საკავშირო კომიტეტის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ქართველ კოლეგებს და უსურვა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი.

უკრაინისა და ლატვიის კინოს მოღვაწეთა სახელით ქართველ კოლეგებს მიულოცეს უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა რეჟისორმა ნ. მაშჩენკომ და ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. პარლაინმა.

იუბილარებს — ქართული კინოხელოვნების მოღვაწეებს გულითადად მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პ. აბგაროვი, კინორეჟისორი ს. შარაჯანოვი, კინოსტუდია „ტაჯიკური ფილმის“ დირექტორი ა. ხამიდოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. მაკაროვა, ბელორუსი რეჟისორი ი. დუბროვინი, დრამატურგი ბ. მდივანი, ლენინგრადელი რეჟისორი ე. შაპირო, მოლდავეთის რეჟისორი ე. ლოტიანუ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ქლენტი, საქართველოს სახალხო მხატვარი პ. სანაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი მ. ჭიაურელი, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის მდივანი პოეტი ი. ნონეშვილი, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახალხო არტისტი დ. თორაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

დასასრულ გაიმართა დიდი კინო-კონცერტი.

ფერაჲდ-ფერაჲდი

● 1897 წლის პირველ მაისს გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკი“ იუწყებოდა:

„შაბათს, 3 მაისს (შედგება) ლუმიერის კინემატოგრაფის (მოძრავი ცოცხალი ფოტოგრაფიის) დემონსტრირება“.

● 1913 წელს გამოცემულ „თბილისის ილუსტრირებულ ცნობარში“ მოთავსებულია იმ დროს თბილისში არსებული კინოთეატრების სახელწოდებანი: „მოდერნი“, „ლირა“, „ოდეონი“, „პოლონი“, „მულენ-ელექტრიკი“ (ორი — საზაფხულო და ზამთრის დარბაზით), „სატურნი“.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს კინოთეატრი განლაგებული იყო მტკვრის მარცხენა მხარეს, ყოფილი მიხეილის, ამჟამად პლეხანოვის პროსპექტზე. კინოს, როგორც იაფფასიან გართობა-სანახაობას, უმთავრესად ეტანებოდნენ მუშები, ხელოსნები.

● 1924 წელს მაქსიმ გორკის ცხოვრების მეგობრის — მარია ანდრეევას ხელშეწყობით ბერლინში მოეწყო ქართული ფილმების — „არსენ ჯორჯიაშვილის“, „სამი სიცოცხლის“, „წითელი ეშმაკუნების“ საზოგადოებრივი განხილვა. 1925 წელს ბერლინის კომერციულ კინოთეატრებში უჩვენებდნენ „მამის მკვლელს“ ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

● ქართული ფილმების ექსპორტის მდგომარეობა 1928 წლის 1 აპრილისათვის. გაიყიდა: „არსენა ყაჩაღი“ — ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. „შუქურას საიდუმლოება“ — ავსტრიაში, „უაილდ ვესტის მხედარი“ („ვინ არის დამნაშავე“) — ბალტიისპირეთში, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ — ჩეხოსლოვაკიაში, „წითელი ეშმაკუნები“ — საბერძნეთში, „ნათელა“ — ესპანეთში, ბალტიისპირეთში, პოლონეთში, იტალიასა და ჰოლანდიაში, „სავურსაფლავი“ — ავსტრიაში, „სამი სიცოცხლე“ — ბალტიისპირეთში, „ბელა“ — პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ფინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, „თავადის ქალი მერი“ — ბალტიისპირეთში, პოლონეთში, „ორი მონადირე“ — იტალიაში.

● პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გამოსვლისთანავე, 1912 წელს გავიდა უცხოეთში. მას უჩვენებდნენ მუკდენის, ხარბინის, კონსტანტინეპოლის ეკრანებზე.

● 1930 წელს სპარსეთმა შეიძინა 12 ქართული ფილმი, მათ შორის „ელისო“, „ჯანყი გურიაში“, „ბოშური სისხლი“, „გიული“. პრესის ცნობით, ეს მუნჯი კინოსურათები წარმატებით უწევდნენ კონკურენციას იმ დროს ეკრანებზე უკვე საკმაოდ მოძალებულ უცხოურ ხმოვან ფილმებს.

● 1929 წელს საზღვარგარეთის ეკრანებზე ქართული ფილმების ექსპლოატაციით მიღებულმა თანხამ 70.000 დოლარს გადააჭარბა

● 1954 წელს ნიუ-იორკში ბროდვეიზე ერთ-ერთ დიდ კინოთეატრში დაიწყო ფილმ „ქეთო და კოტეს“ ჩვენება. „საამური, ცოცხალი საბჭოთა მუსიკალური ფილმი საქართველოზე“ უწოდა მას ამერიკულმა გაზეთმა „დეილი უორკერმა“, თანაც დასძენდა „ჰოლივუდს იშვიათად თუ რაიმე შეუქმნია ამ მშვენიერების მსგავსი“.

სურათებზე: კადრები ქართული მხატვრული კინოფილმებიდან, ზემოდან — „საბა“, „ქაჯანა“, „გიორგი საკაძე“, „ქეთო და კოტე“, „ჯარისკაცის მამა“.

აფხაზეთი

მხარე მზისა და სიცოცხლისა

ჰიპერტონიას მთებში მკურნალობენ

სოხუმი. აზრი, რომ გულის სისხლძარღვთა დაავადებით შეპყრობილ პირთა ყოფნა ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მავნებელიაო, უარყვეს აფხაზმა კურორტოლოგებმა. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალურ ინსტიტუტთან თანამეგობრობით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობს, თუ რა გავლენას ახდენს შუა მთის კლიმატი ასეთ ავადმყოფებზე კურორტ ავადხარის პირობებში. ასეთ კვლევას წარმატებით ახორციელებენ ბულგარელი მეცნიერებიც კურორტ კურტოვოში, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1830 მეტრზე — 200 მეტრით მაღლა, ვიდრე ავადხარა.

ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა, რომლებიც იყენებენ ჰიპერტონიით დაავადებულებზე მაღალი მთის კურორტის კლიმატის მოქმედების მექანიზმების გამოკვლევისა და შესწავლის ახალ მეთოდებს, პროფესორ ა. გრიგოლიას ხელმძღვანელობით მარტო მიმდინარე ზაფხულში განახორციელეს დაკვირვებანი 25 ავადმყოფზე. წინასწარი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მათი მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა. ავადმყოფთა საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქრათ თავის ტკივილი, თავბრუს ხვევა, გაუუმჯობესდათ ძილი, დიდად შეუმცირდათ არტერიული წნევა.

ავადმყოფები, რომლებმაც მკურნალობის კურსი გაიარეს კურორტ ავადხარაში, ახლა დამატებით კვლევას გადიან სოხუმში, კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალში.

ზღაპრულ სამყაროში

ფერადი ქვების ზღაპრული სამყარო გადაგეშლება თვალწინ მიწისქვეშა გამოქვაბულის სახახლეში, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ აღმოაჩინეს აფხაზმა სპეციალისტებმა ახალი ათონის მიდამოებში. იგი შორს არ არის ტურისტებისათვის კარგად ცნობილი გამოქვაბულისაგან — სიმონ-კანონიტის მღვიმისაგან. პირველაღმოჩენებმა მას „ჰელიქტიტური“ დაარქვეს მიწისქვეშა დარბაზის ნაღვენთი წარმონაქმნების გამო.

ექსპედიციის მონაწილემ, აფხაზეთის ტურიზმის საბჭოს სპელეოლოგიური სექციის თავმჯდომარემ გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ემელიანე მილიანოვსკიმ ჩვენს კორესპონდენტს უთხრა:

— ეს გამოქვაბული წინათაც იყო ცნობილი სპელეოლოგებისათვის, მაგრამ მის უკანასკნელ დარბაზში მოხვედრა მეტად ჭირდა, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო გაძრომა გამოქვაბულის დერეფანში, სადაც ზოგან ხვრელის სიმაღლე 30 სანტიმეტრს არ აღემატება. დარბაზი ზღაპრული სანახავია. მისი სიმაღლე 10 მეტრს უდრის. ჭერზე ჰკიდია ბაცი ყვითელი და ვარდისფერი სტალაქტიტები. განსაკუთრებით ეფექტურია კედლები: ისინი დაფარულია გამჭვირვალე ნაღვენთით — ჰელიქტიტებით, რომლებიც უცნაური ჩუქურთმებში იხლართებიან. ისინი ზოგან ყვავილებს წააგვანან, ზოგან კი უწვრილესი ძაფების გორგალს ან ისრებს, ბევრი მათგანი სპელეოლოგიის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ ძირს კი არ ეშვება, არამედ შეეული კუთხით იზრდება, სხვა სტალაქტიტებთან შეხვედრისას ისინი ქმნიან გეომეტრიულ ფიგურებს. ასეთ სურათს ალბათ ვერც ნახავთ აფხაზეთის სხვა გამოქვაბულებში.

მალე მიწისქვეშა ტურიზმის ამ ახალ ობიექტს ათასობით კაცი დაათვალიერებს.

აფხაზი მეცნიერის გამოკვლევა

„ამბავი ტალღებით წაღებული ქალაქისა“ — ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომელიც ამას წინათ გამოუშვა გამომცემლობა „ალაშარამ“. იგი ეკუთვნის აფხაზი მეცნიერის ლ. ა. შერვაშიძის კალამს. ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი პოპულარულად მოგვითხრობს ძნელი და საინტერესო წყალქვეშა ექსპედიციების შესახებ სოხუმის მიდამოებში. აფხაზმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს გამოეცნოთ მრავალსაუკუნოვანი საიდუმლოება და აქ აწარმოებდნენ უძველესი ქალაქის გათხრებს. ეს ოდესღაც მდიდარი და აყვავებული ქალაქი, რომელსაც ძველი ბერძენი ისტორიკოსები უწოდებდნენ „სახელოვან დიოსკურიას“, ხოლო რომაელი ისტორიკოსები — „სებოსტოპოლისს“, დღემდე გაურკვეველი მიზეზებით შთანთქა და მოსპო ზღვის სტიქიონმა.

ისტორიკოსის წიგნში, რომელმაც პირადად დიდი შრომა მოახმარა არქეოლოგიურ სამუშაოებს სოხუმის ყურის ფსკერზე, მოთხრობილია იმ ნაპოვნებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ ძველი ლეგენდარული დიოსკურია განისვენებს ტალღებს ქვეშ სოხუმის ნაპირებთან.

პრეზიდენტის პალმასთან

იგი ტოტებგაშლილი დგას სოხუმში, ცენტრალურ მოედანზე. ეს პალმა საკუთარი ხელით დარგო აფხაზეთში რამდენიმე წლის წინათ სტუმრად მყოფმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა. ეს მწვანე ავტოგრაფი, რომელიც აქ დატოვა გმირი ვიეტნამის მთავრობის ხელმძღვანელმა, მუდამ მოაგონებს სოხუმის მშრომელებს ორი ქვეყნის ხალხთა დიდ მეგობრობას. ამ პალმასთან ყოველთვის იკრიბება ხალხი. აი ამ დღეებშიც აქ მოეწყო მოსკოველ სტუდენტთა სასპორტო-გამოჯანსაღებელი ბანაკის საზეიმო ხაზი. ეს ბანაკი მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე. მოსკოვის კავშირგაბმულობისა და ელექტრონული ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად ახალგაზრდა ვიეტნამელებმა ფუნგ თხი იენმა და დო ვუ ხამ პრეზიდენტის პალმასთან დადეს ფიცი იყვნენ მუდამ ერთგული ინტერნაციონალური მოვალეობისა.

მოძმე გულგარეთიდან

გამოგზავნეს ოთხი ახალი თამბაქოს შესაფუთავი წნები, რომელთა მოწყობაც ამ დღეებში დამთავრდა სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში. ეს სათვალავით უკვე მეექვსე ტექნოლოგიური აგრეგატია. რომელიც სოხუმელმა ფერმენტატორებმა მიიღეს მოძმე ბულგარეთიდან მომდინარე ხუთწლედში.

ტურისტთა გაზიდან კლაჭზე


ტურისტულ ბაზა „სინოპის“ დამსვენებლები ახლა დადიან მიწისქვეშა გადასასვლელით, რომელიც აიგო თბილისის გზატკეცილზე. წლითიწლობით იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება შავიზღვისპირეთის ეს ახალგაზრდული ტურისტული ბაზა. კარვები განდევნა მრავალსართულიანმა კომფორტულმა შენობებმა. მარტო შარშან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ლამისსათვალიერებლო კორპუსი, ხოლო ტურისტთა ბაზის ერთ-ერთ კუთხეში უკვე აგებენ მეორე ასეთსავე შენობას.

სოხუმის სასწაული

სხვანაირად ვერ უწოდებ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მაიმუნსაშენს. 2.500-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის მაიმუნია ახლა მის ვრცელ ვოლიერებში. ამ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობენ არა მარტო ჯუნგლების, შორეული ვიეტნამის, ინდოეთის, ინდონეზიის. ცეილონის, იავის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის მთების „ჰკვიდრნი“. აქ არის სოხუმში დაბადებულ მაიმუნთა შვილი თაობა. ასეთი გენიალოგია არ არის მსოფლიოს არც ერთ მაიმუნსაშენში.

აქაური მაიმუნები უდიდეს მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენენ. მათზე ამოწმებდნენ და ახლაც ამოწმებენ ანტიბიოტიკებს — თანამედროვე მედიცინის უძლიერეს სამკურნალო საშუალებებს. მაიმუნებზე იყო მიღებული ადამიანის დაავადებათა მრავალი მოდელი. აქ გამოკვლევები წარმოებდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების — აკადემიკოსების ი. პავლოვის, კ. ბიკოვის, ლ. ორბელის, ე. პავლოვსკისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

შარშან მაიმუნსაშენი დაათვალიერა დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ექსკურსანტმა მსოფლიოს სულ სხვადასხვა ქვეყნიდან.



სურათზე: სოხუმის საზღვაო სადგურში.

„არსენას“ გამარჯვება ლაიპციგში


მსოფლიოს უმშვენიერესი წიგნი

ახლახან ლაიპციგში, საგამომცემლო საქმის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში ჩატარდა წიგნის საერთაშორისო კონკურსი. ასეთი კონკურსები და გამოფენები აქ ტრადიციულად ეწყობა. მათი მიზანია გამოამჟღავნონ და პროპაგანდა გაუწიონ მსოფლიოს საუკეთესო საგამომცემლო პროდუქციას. გარდა ამისა, ცხადია, ეს გამოფენა-კონკურსები თავისებურად ხელს უწყობს წიგნის საგამომცემლო და პოლიგრაფიული კულტურის ამაღლებას.

წელს ლაიპციგის კონკურსში მრავალი ქვეყანა მონაწილეობდა.

საერთოდ ყოველი სახელმწიფო და გამომცემლობა დიდ პატივად თვლის ამ საერთაშორისო ღონისძიებაში უბრალოდ მონაწილეობასაც კი. რაც შეეხება ჯილდოებს, ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია ხოლმე. სწორედ ამიტომ არის საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ლაიპციგის კონკურსზე საუკეთესო გამოცემათა შორის ერთხმად აღიარეს საქართველოში დამზადებული წიგნი.

საერთაშორისო დიპლომი „მსოფლიოს უმშვენიერესი წიგნი“ მოიპოვა სახალხო ეპოსმა „არსენას ლექსმა“ (გამომცემლობა „ნაკადული“). ვინ არის ამ წიგნის მხატვარი, რომელმაც ასე მონდომებით აჩუქურთმა მისი ყდა და შიდა გვერდები? ეს არის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე. სამი წლის დაუღალავი შრომის შედეგია „არსენას“ შშვენიერი წიგნი, რომელშიც სახალხო ეპოსის ილუსტრაციების გარდა მოხატულია თვითეული გვერდი (სულ 100 გვერდია), ყდა, სუპერი, ტექსტი გადაწერილია ძველი ქართული ხელნაწერების ყაიდაზე, უხვად



არის გამოყენებული ქართული ორნამენტი.

„არსენას ლექსის“ გამარჯვება ლაიპციგში შემთხვევითი როდია. ჯერ კიდევ შარშან, როცა წიგნი მზად არ იყო, მისი ცალკეული გვერდები წარდგენილ იქნა ქ. ბრნოში (ჩეხოსლოვაკია) წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის საერთაშორისო კონკურსზე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მხატვარი ალ. ბანძელაძე ჟიურის პრიზითა (4.000 კრონი) და სპეციალური დიპლომით დააჯილდოვეს.

„არსენას ლექსის“ წარმატება ლაიპციგის წიგნის საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს საგამომცემლო საქმის, და, კერძოდ, გამომცემლობა „ნაკადულის“ დამსახურებული გამარჯვებაა. ამის დასტურია ის მრავალი მოლოცვა და კეთილი სურვილი, რომლებიც გამომცემლობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსდის.

მოგზაურობა საზღვარგარეთ

საქართველოს პროფსაბჭომ, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა წელს საზღვარგარეთ ტურისტულ მოგზაურობაში გაგზავნეს მუშათა და მოსამსახურეთა 30-ზე მეტი ჯგუფი. 906 კაცი იყო სოციალისტურ ქვეყნებში და ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ხის დამმუშავებელი მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკები იყვნენ ფინეთში, მანქანათმშენებლები ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიას, პედაგოგები — პოლონეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, სპეციალიზებული ჯგუფები გაემგზავრნენ უნგრეთსა და იუგოსლავიაში. ქართველ ტურისტთა რამდენიმე ჯგუფი ბულგარეთში, რუმინეთსა და უნგრეთში ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ ორი კვირით ისვენებდა ვარნის, ოქროს ნაპირის, ეფორიის საზღვაო კურორტებზე, ბალატონის ტბაზე.

წლის დამლევამდე რესპუბლიკის ბევრი მშრომელი ეწვევა ბულგარეთს, რუმინეთს, უნგრეთს, პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. საქართველოს ტურისტები იმოგზაურებენ მარშრუტებით ალჟირი-ტუნისი-მაროკო, ერაყი-კუვეიტი-ირანი, აგრეთვე ჩავლენ ინდოეთში, ფინეთსა და სხვა ქვეყნებში.

წიგნის ტირაჟი — ერთი ეგზემპლარი

ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში სათუთად ინახება უნიკალური ხელნაწერი — მეთექვსმეტე საუკუნის მეტაფრასი (იოანე ქსიფილინოსის შრომის ქართული თარგმანი).

როგორც სარწმუნოა წყაროებიდან ჩანს, ეს წიგნი ბერძნულიდან ქართულად უთარგმნიათ მეთერთმეტე საუკუნეში.

მეტაფრასში წლის ყველა თვეების მიხედვით მოცემულია ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა თავგადასავალი, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია იყენებდა საყდრებში საკითხვად.

მეტაფრასი ხუთ ტომად არის. ხუთივე ტომი 3.085 ფურცლისაგან შედგება. თითოეული წიგნის ზომაა 40X28 სანტიმეტრი, წონა 10 კილოგრამს აღემატება.

ნაპოვნია შიდაში

ყვარელი. სოფელ შიდის კოლმეურნეობის წევრმა ს. ოსეფაშვილმა მიწის სამუშაოების შესრულების დროს იპოვა კერამიკის ქილები. სპეციალისტების დასკვნით ქილები განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის X-V საუკუნეებს.

ნაპოვნი გადაეცა გრემის მუზეუმს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ეწყობა.

სოფლის ექიმი — დოქტორი

ვოლხოვის ფრონტის დროთა განმავლობაში გაყვითლებული საფრონტო გაზეთი „ვ ატაკუ“ მოგვითხრობს:

„წითელარმიელის ს. კრილოვის მდგომარეობა უიმედო იყო. ყუმბარის ნამსხვრევით მიყენებული ჭრილობა გულმკერდში და გულის ნაწილობრივი დაზიანება. ოცდახუთი საათის განმავლობაში იცლებოდა სისხლისაგან დაჭრილი. მედიცინის სამსახურის მაიორმა შოთა თოდუამ შეუძლებელი შეძლო. მან წარმატებით გაუკეთა დაჭრილს ურთულესი ოპერაცია და სიცოცხლე დაუბრუნა...“

შ. თოდუამ ათასობით მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. საზრიანი ექიმი ოპერაციებსა და დაბომბვებს შორის დროის მონაკვეთში იწერდა და ანალიზებდა თავის დაკვირვებებს. მან ომში არა მარტო ბევრი ორდენი და მედალი მიიღო, არამედ საინტერესო მეცნიერულ კვლევასაც ეწეოდა. მისი შრომები გამოქვეყნებულია ვოლხოვის ფრონტის მედიკოთა ნაშრომების კრებულში, აგრეთვე წიგნში „საბჭოთა მედიცინის გამოცდილება დიდ სამამულო ომში“.

იქ, ფრონტზე, შ. თოდუა ყოველთვის გრძნობდა ფრონტის ყოფილი მთავარი ქირურგის აკადემიკოს ა. ვ. ვიშნევსკის მზრუნველობას.

ფილტვების ჭრილობათა მკურნალობის გამოცდილება შ. თოდუამ განაზოგადა დისერტაციაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც წარმატებით დაიცვა მოსკოვში 1953 წელს.

ქირურგი 20 წელია მუშაობს ვანის რაიონში და ამ ხნის მანძილზე წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამკურნალო საქმიანობასა და კვლევას. მისი ყურადღება დიდი ხანია მიიპყრო ტოპოგრაფიულ-ანატომიურმა და კლინიკურმა გამოკვლევებმა, რომლებიც დაკავშირებულია მძიმე სენის — ფარისებრი ჯირკვლის დაავადებასთან, რაც საქართველოში განსაკუთრებით წინათ იყო გავრცელებული.

სოფლის ექიმს თავისი დაკვირვებებისა და მდიდარი გამოცდილების განზოგადებაში დაეხმარა მისი ხელმძღვანელი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ე. კოვანოვი.

გასული წლის დეკემბერში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში შ. თოდუამ მოაწყო თავისი მეთოდით ჩიყვის ამოჭრის საჩვენებელი ოპერაცია. ამ მეთოდს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა პრაქტიკულ მედიცინაში. ა. ვ. ვიშნევსკის მეთოდიკის დანერგვისათვის ქართველ სოფლის ექიმს ერთ-ერთ პირველს გადაეცა სამახსოვრო მედალი.

ამას წინათ ვანის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა შ. თოდუამ მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა“.

დისერტაციაში განზოგადებული მასალა ექიმის ოცი წლის პრაქტიკული საქმიანობის შედეგია. ასობით ოპერაცია გაუკეთა ქირურგმა საკუთარი მეთოდით. რომელსაც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ რეკომენდაცია მისცა რესპუბლიკის ქირურგიულ კლინიკებში გამოყენებისათვის.

ლ. ყიფშიძე.

აფეთქება — ქვისმთლელი

საქართველოში უხვადაა მარმარილოსა და ტეშენიტის საბადოები, აგრეთვე სხვა ძვირფასი დეკორაციული ქვები. ეს მთის ჭანები ჩინებული საშენი მასალაა, რომელიც გამოიყენება მეტროს სადგურებისა და ზოგიერთი სხვა ნაგებობის მოსაპირკეთებლად, მაგრამ მარმარილოსა და ტეშენიტის გამოყენება ქალაქთმშენებლობაში ჯერჯერობით შეზღუდულია, რადგანაც ძვირი ჯდება.

დეკორაციული მთის ჭანების დამუშავების არსებული მეთოდები მეტად შრომატევადი და ნაკლებად რენტაბელურია. ჭვა არასრულყოფილი ტექნოლოგიის გამო მნიშვნელოვნად ქუცმაცდება და დიდი რაოდენობით იკარგება.

მდგომარეობის გამოსწორება იკისრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოს დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ბერიშვილმა და სამთო ინჟინერმა რ. მიხელსონმა შეიმუშავეს მთის ჭანების, კერძოდ მარმარილოსა და ტეშენიტის მოპოვებისა და დამუშავების ახალი მეთოდი. აღმოჩნდა, რომ აფეთქების ენერგიას ჩინებულად შეუძლია ასეთი ქვები მოამტვრიოს მონოლითს და სწორკუთხა ბლოკებად დაჰყოს. ეს ტექნოლოგია ექსპერიმენტულად შემოწმდა და უკვე დანერგა რესპუბლიკის მთელ რიგ კარიერებში. მაგალითად, კურსების ტეშენიტის კარიერებში მართულ აფეთქებათა საშუალებით უკვე მზადდება დიდი ბლოკები.

კარიერის მუშაკებმა ახალი მეთოდის გამოყენების შედეგად 80 პროცენტით შეამცირეს ტეშენიტის ფილების წარმოების სამუშაოთა შრომატევადობა და ერთნახევარჯერ გაადიდეს მონოლითებიდან ბლოკების მიღება. ანალოგიური შედეგები მოიპოვეს საქართველოს მარმარილოს ტრესტის ზესტაფონის მაღაროსამმართველოს სალიეთის კარიერში.

დეკორაციული მთის ჭანების ჭართული აფეთქებებით დამუშავება სსრ კავშირში პირველად დაინერგა ჩვენი რესპუბლიკის კარიერებში.

ც. 16/98

სპორტული მიმოხილვა

- „დინამო“ შვეიცარიაში
- ა. მეტრეველი კვლავ უძლიერესია
- ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე ცნობილია.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვისაუბრეთ, კარგა ხანი გავიდა და სპორტულ სარბიელზე მრავალი საინტერესო ამბავი მოხდა. დავიწყოთ ფეხბურთიდან. ოდესის და კიევის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა მატჩები თავის მოედანზე ჩაატარეს. ქუთაისელები ბაქოს „ნეფტიანიკს“ ეთამაშებოდნენ, თბილისელები კი „არარატს“. ორივე მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, ორივე შეხვედრას თითქმის ბოლომდე ქართველი ფეხბურთელები იგებდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და საშუალება მისცეს მოწინააღმდეგეებს გაექვითათ გოლები.

მომდევნო მატჩებში მეტოქეები „გაცვალეს“ ქართველმა ფეხბურთელებმა, ახლა „დინამო“ „ნეფტიანიკს“ ეთამაშებოდა, „ტორპედო“ კი „არარატს“. ქუთაისელებმა დაამარცხეს „არარატი“ — 2:1, დინამოელებმა კი ბაქოელები — 1:0.

ამ მატჩების შემდეგ ქუთაისელებმა სამი გასვლითი შეხვედრა ჩაატარეს და უნდა ითქვას წარმატებითაც. მოსკოვში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ცსკა, კუიბიშევში ანგარიშით 3:2 ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ და დონეცკში ფრედ 1:1 ითამაშეს „შახტიორთან“. უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში 8 ქულა დააგროვეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

თბილისის დინამოელები ცსკა-სთან და „კრილია სოვეტოვთან“ ფრეს დასჯერდნენ, თანაც ორივე შეხვედრას აგებდნენ — 0:1 და მხოლოდ თამაშის უკანასკნელ წუთებში გაათანასწორეს ანგარიში ორივე შემთხვევაში — 1:1.

კალენდარული მატჩების შუალედში თბილისის „დინამო“ შვეიცარიაში გაემგზავრა ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. დინამოელებმა იქ სამი მატჩი ითამაშეს ქ. ბილის, ქ. ლიუცერნის და ქ. ლოზანას გუნდებთან, ყოველ ორ დღეში მატჩი იყო დანიშნული. თანაც „ბილთან“ ორთაბრძოლაზე თითქმის პირდაპირ თვითმფრინავიდან მივიდნენ, თანაც ატალახებულ მინდორზე გაუჭირდათ ბრძოლა. შედეგი დამარცხება — 1:3 არც თუ ძლიერ კოლექტივთან. მეორე მატჩი „ლიუცერნთან“ ფრედ 2:2 ითამაშეს, მესამე „ლოზანასთან“ მოიგეს — 4:0.

როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ განაცხადა გუნდმა მხოლოდ ბოლო მატჩის წინ შეძლო აკლიმატიზირება და სწორედ მაშინ გამომჟღავნდა თავისი ნამდვილი სახე. გაზეთები ერთხმად აღიარებდნენ ჭელიძის, ასათიანის, მეტრეველის, ნოდიას, მესხის მაღალ ოსტატობას.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან კავაზაშვილი, ხურცილავა და ცხოვრებოვი, ავსტრიელებთან მატჩისათვის ემზადებიან ევროპის პირველობაზე. მანამდე კი ორი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს შვეიცარიასა და ბულგარეთის ეროვნულ გუნდებთან. პირველი მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა, მეორე კი მოიგეს — 2:1. შეასანიშნავად ითამაშეს ხურცილავამ და ცხოვრებოვმა, განსაკუთრებით ხურცილავამ, რომელიც საუკეთესო იყო დაცვაში, ხოლო შვეიცარიელებთან ერთი ბურთი თვითონ გაიტანა, მეორე კი მისი დარტყმული მცველს მოხვდა და კარში შევიდა. კარგად ითამაშეს ბულგარელებთან კავაზაშვილმა, რომელმაც რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთი აიღო, ცხოვრებოვმა, რომელმაც თამაშიდან თითქმის გამოთიშა ბულგარელი პოპოვი, ხურცილავამ, რომელიც მტკიცედ იცავდა კარის მისადგომებს და ხელსაყრელ მომენტში გადიოდა წინ.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფეხბურთში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები — 2:1. სტუმრები ამხანაგურ მატჩებს მართავენ ჩვენს ქვეყანაში. მათ თბილისში ჩამოსვლამდე ანგარიშით 1:0 მოუგეს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს.

ჩოგბურთი. თბილისში ერთ კვირას მიმდინარეობდა საერთაშორისო ასპარეზობა ჩოგბურთში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ ავსტრალიის, შვეიცის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

ასეთი დიდი ტურნირები, რომელიც თავისი სიძლიერით არ ჩამოუვარდებიან საკავშირო ჩემპიონატს, საქართველოს დედაქალაქში არც თუ ხშირი სტუმარია. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც მაყურებელმა გამოიჩინა. და ეს გასაგებია. სსრ კავშირის № 1 ჩოგბურთელის ა. მეტრეველის თამაში უკანასკნელად 4 წლის წინათ ნახეს მისმა თანამემამულეებმა, მას შემდეგ მეტრეველი ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა რიგებში ჩადგა, იგი საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელია და ამჟერად ამაში თბილისელებიც დარწმუნდნენ.

ა. მეტრეველი ადვილად გაუსწორდა თავის მეტოქეებს, ნახევარფინალში მან ადვილად დაამარცხა თავისი მუდმივი მეტოქე თ. ლეიუსი — 6:4, 7:5, 6:2, ფინალში კი კიდევ უფრო ადვილად მოუგო მოსკოველ ვ. ეგოროვს — 6:1, 6:1, 6:2. საერთო აღიარებით ქართველ ჩოგბურთელს სერიოზული მეტოქე არ ჰყავს ჩვენს ქვეყანაში. ვაჟთა წყვილებში კონკურენციის გარეშე იყვნენ ა. მეტრეველი-ს. ლიხაჩოვის დუეტი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. ახლა ეს ჩოგბურთელები მექსიკაში გაემგზავრნენ წინაოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად.

ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე ცნობილია, ეს არის 26 წლის მოსკოველი ალა კუშნირი, რომელიც ქალთა ჭადრაკის ისტორიაში მეორედ შეებრძოლება ჩემპიონს უმაღლესი გვირგვინისათვის. მაგრამ მოდით თავიდან მივყვეთ.

იუგოსლავიის ქ. სუბოტიცაში მიმდინარეობდა პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, ა. კუშნირი, ვ. კოზლოვსკაია, ა. კისლოვა. ამ ხუთეულთან ერთად გამარჯვებულთა რიცხვში ასახლებდნენ რუმინელ ა. ნიკოლაუს, იუგოსლაველ მ. მარკოვიჩს (ლაზარევიჩი), მაგრამ ყველას მოულოდნელად დაწინაურება იუგოსლაველი ტერეზა შტადლერი. იგი თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე 2 ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს ნანა ალექსანდრიას. როდესაც ტურნირის დამთავრებას ოთხი ტური აკლდა და უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პრეტენდენტი შტადლერი იქნებოდა, მოულოდნელად დაწინაურებულმა ლიდერმა, ასევე მოულოდნელად ზედიზედ წააგო სამი პარტია და პირველი ადგილის ნაცვლად საბოლოოდ მე-4 ადგილზე მოხვდა.

ფინიშზე ბრწყინვალედ ითამაშა ა. კუშნირმა და 13,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 1965 წელს კუშნირმა მატჩი ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონთან და დამარცხდა 8,5:4,5. ვნახოთ რით დამთავრდება ეს მეორე შეხვედრა. მოსკოველი გროსმაისტერის ა. ლილიენტალის აღიარებით კუშნირი უნდა შეებრძოლოს ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკე ქალს.

წარმატებით დაიწყო ტურნირი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ, მეათე ტურამდე იგი მეორე ადგილზე იყო. შემდეგ, როგორც ჩანს, გადაიღალა, ვერ განსაზღვრა ძალები და ფინიშზე მხოლოდ ორი პარტიის მოგება შეძლო. ნანა მხოლოდ მეორედ გამოდის ასეთ დიდ ასპარეზობაში, დროთა ვითარებაში ეს ნიჭიერი გოგონა შეიძენს საჭირო სატურნირო გამოცდილებას და მაშინ უთუოდ გამოავლენს თავის შესაძლებლობას.

მაშ ასე ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე ცნობილია. მატჩი მსოფლიოს პირველობაზე გაიმართება 1968 წელს, ადგილი და დრო მოგვიანებით დაზუსტდება.

ო. ლორთქიფანიძე.

* * *







სურათებზე: ა. ნ. სეირანოვი (ზემოთ, მარცხნივ), ბ. ცაკიაშვილი (ქვემოთ, მარჯვნივ).

დაგეძებენ, მოგელიან

ილო ივანეს-ძე ძამიაშვილს, დაბადებულს 1909 წელს სოფ. საკობოში (ცილნაღის რაიონი), ეძებენ და — მარიამი, შვილი — ზაურ ძამიაშვილები.

ზოთა ლუკას-ძე ლექვინაძეს, დაბადებულს 1918 წელს, სოფ. მაღლაკში (წყალტუბოს რაიონი), ეძებს მამა — ლუკა ლექვინაძე.

არტო (არტუშა) ნიკას-ძე სეირანოვს ეძებს დედა — სირანა სეირანოვა.

გიორგი იორდანეს-ძე ცაკიაშვილს, დაბადებულს 1905 წელს სოფ. საკობოში (ცილნაღის რაიონი), ეძებენ შვილი — გიძინა, ძმა — ალექსი ცაკიაშვილები.

იუსტინე (გუშუ) ერმილეს-ძე გურგენიძეს, დაბადებულს 1921 წელს სოფ. როკითში (მაიაკოვსკის რაიონი), ეძებს ძმა — იონა გურგენიძე.



შ. ლ. ლექვინაძე.




ი. ი. ძამიაშვილი.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია



თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.